სუსტად ჩატარებული მატჩი

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 16 ნოემბერი.

"დინამო" (თბილისი) – "დინამო" (კიევი) 1:5 (0:3).

თბილისი: გაბელია, მუჯირი, ჩივაძე, ანდღულაძე, კუდინოვი (არზიანი), ჯოხაძე, სვანაძე, სულაქველიძე, კაკილაშვილი, ცავა (მიქაბერიძე), მესხი.

კიევი: ჩანოვი (მიხაილოვი), სოროკალეტი, დუმანსკი, ოლეფირენკო, დემიანენკო (მახინია), ლოზინსკი, ბურიაკი, ბალი, ხლუსი, ევტუშენკო, ბლოხინი.

მსაჯი: ი. სავჩენკო (მოსკოვი).

ძნელი, ძალზე ძნელი საქმეა ამ მატჩის სარეცენზიო წერილის დაწერა. დიდი ხანია ამგვარი რამ არ მომხდარა ჩვენს სტადიონზე, საკავშირო ჩემპიონატების შეხვედრებში, თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთაგან ბოლო წლების მანძილზე ველით მხოლოდ გამარჯვებებს, მხოლოდ დიდ წარმატებებს და, კაცმა რომ თქვას, ეს "ჩვეულება" საკუთრივ ჩვენ არ გამოგვიგონებია, იგი დინამოელთა კოლქტივის წარსულ მიღწევათა პირდაპირი, უშუალო შედეგია (სსრ კავშირის ჩემპიონობა, ევროპული საკლუბო თასი, საკავშირო თასი, საერთაშორისო ტურნირების მთავარი პრიზები და ა.შ.).

და, აი, ასეთი მოულოდნელი ანგარიშით მარცხი, ისიც შინ, საკუთარ მინდორზე, მაშინ, როცა საკავშირო ჩემპიონატში გადამწყვეტი, საბოლოო ეტაპის მატჩებია!

შემთხვევითია თუ არა ეს წაგება კიევის "დინამოსთან" შეხვედრაში? ვფიქრობთ, რომ არა. მძიმე პრობლემები ჩვენი გუნდის წინაშე ასე უცებ არ წამოჭრილა, წამყვან მოთამაშეთა ტრავმები, ავადმყოფობა, დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებული მატჩები და სხვა სიძნელეები კარგა ხანია თან გვდევს და თაობათა ცვლის უარყოფითი მოვლენები განსაკუთრებით იგრძნობა ახლა, ფინიშზე. ჩემპიონატის დასაწყისში მოპოვებული ქულები ისე შემოგვადნა ხელთ, რომ საპრიზო ადგილზე გასასვლელად აღარ გვყოფნის.

ავიღოთ ბოლო 5 ტური. უკლებლივ ხუთივე მატჩი მეტოქეთა მინდვრებზე გვქონდა, 10 შესაძლებლიდან ავიღეთ სულ 3 ქულა, დინამოელებმა გაიტანეს მხოლოდ 3 ბურთი, ხოლო 7 გაუშვეს. ამ 5 მატჩში დიდი ანგარიშით დავმარცხდით მოსკოვის "სპარტაკთან" (1:4), მაგრამ ის იყო დარბაზში, სელოვნურსაფარიან, შეუჩვეველ მინდორზე, ახლა კი ამინდიც კარგი იდგა და მინდორიც სრულ წესრიგში იყო...

თბილისელთა შორის ამ დღეს არ იგრძნობოდა ის მობილიზება და კოლექტიური ერთსულოვნება რაც საჭიროა ასეთი რანგის მატჩის სათამაშოდ. შეტევის ხაზზე აქა-იქ ეპიზოდურად თუ გამოჩნდებოდა მესხი, რომლის ინდივიდუალურ გასვლებს პარტნიორების მხრივაც არ ჰქონდა სათანადო მხარდაჭერა და თვით მისი გადაცემებიც მეტისმეტად უზუსტო და უმისამართო იყო. დაცვის ხაზზე, განსაკუთრებით ფლანგებზე კიეველებს სრული უპირატესობა ჰქონდათ და თუ ახალგაზრდა მცველმა კუდინოვმა თავი ვერ გაართვა თამაშს, მისი შეცვლა ადრევე იყო საჭირო და არა მაშინ, როცა მატჩის ბედი პრაქტიკულად უკვე აღარ იწვევდა ეჭვს.

სრული ქაოსი სუფევდა თბილისის "დინამოს" ნახევარდაცვის რგოლში. აქ ყველა საკუთარ თავს იყო მინდობილი, აკეთებდა იმას, რაც მოეპრიანებოდა და მინდვრის შუაგულში, შეიძლება დაჯერებულად ითქვას, კიევის "დინამოს" აბსოლუტური უპირატესობა ეპყრა. შეცდომები დაუშვა მეკარე გაბელიამ, ნახევარმცველმა სულაქველიძემ თამაშის მეტი წილი ყოვლად გაუმართლებელ და უსარგებლო უხეშობას მოანდომა, სრულიად არ ჩანდნენ ცავა, სვანაძე, ანდღულაძე, მუჯირი, კაკილაშვილი...

კიევის "დინამოს" ხუთივე გოლს წუნი არ ჰქონდა, ისინი გუნდის სრული ტერიტორიული, ტაქტიკური და ტექნიკური უპირატესობის პირდაპირი შედეგი იყო. ანგარიში მე-19 წუთზე გახსნა ხლუსმა, შემდეგ ბალმა გაიტანა მეორე ბურთი, ხოლო 41-ე წუთზე ბურიაკმა (პენალტით) ანგარიში აიყვანა 3:0-მდე. 64-ე წუთზე ჩივაძემ შორეული, ეფექტური დარტყმით გაქვითა ერთი გოლი, 73-ე და 83-ე წუთებზე კი ევტუშენკომ და ხლუსმა საბოლოოდ მოათავეს კიევის "დინამოს" გამარჯვების საქმე.

რ. ქორიძე.
"ლელო", 18 ნოემბერი, 1982 წ.